პეტრე გელხვიიძე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის დეპარ-ტამენტის პროფესორი. საქარ-თველოს ეკოლოგიურ მეცნი-ერებათა აკადემიის წევრ- კორესპოდენტი. ხუთ ათეულზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომის (სამეცნიერო შრომების თემატიკა ეხება ძლიერდენიანი რელატივისტური ელექტრონული კონების გამოყენების პრობლემებს ზემძლავრი ლაზერების რეალიზაციის საქმეში), აზრების კრებულების (“რაც მიფიქრია და მწამს”; “საგზალი ცხოვრების გზაზე”; “პატარა მძივები”; “ღმერთო, რამდენი ფიქრები გაქრნენ” ; “კარგია თუკი შეგიძლია”; სათქმელი”), სამი პატენტისა და სასწავლო მეთოდური ხასიათის რამოდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი.

როცა მექმინა

(აზრები)

ქუთაისი 2017

- დიქტატორი მხოლოდ დროულად გარდაცვლილებს წყალობს.
- ბედნიერი ხარ თუ შენს გონების ჩირაღდანს მოკაშკაშე ვარსკვლავის ანთება შეუძლია.
- ადამიანები უკვდავებაზე ფიქრის ცეცხლში იფერფლება.
- ცხოვრების გზაზე ორჭოფობამ, ("კი" და "არა")-მ, შვა იგავ-არა-კი.
- ვაზი, ოჯახი და სამშობლო ის ღვთაებრივი სამებაა, რომელსაც ეყრდნობა საქართველო.
- გავჩნდებით თუ არა მას შემდეგ ყველაფერს ღმერთს ვავალებთ და ყველაფერს მისგან მოვითხოვთ.
- "გიყვარდეს მტერი შენი" რამეთუ რაც უფრო მეტია მტერი მით უფრო მაგრად ხარ.
- რაც უფრო დიდია გარეშე დაწოლა მით უფრო მდგრადია სისტემა.
- წესრიგი მართავს სამყაროს და არა ქაოსი.
- საპრეზიდენტო ისტორიაში შესასვლელად არც მხოლოდ ანთებული გული და არც "მდიდარი სექსუალური" გამოცდილება არ არის საკმარისი.
- ერის უბედურებას ფულის საშოვნელად წასული დიასახლისი წარმოადგენს.
- გადახტომის წინ თამასა რეალურ სიმაღლეზე მაღლა არ უნდა დააყენო.
- ომი, მესიის ავადმყოფობით შებყრობილი პოლიტიკოსის საკაცობრიო დანაშაულია.
- <u>ქართული ხასიათი</u>: ვჩქარობთ იქ სადაც არ არის საჭირო და ვჩერდებით იქ სადაც უნდა ვჩქარობდეთ.
- ის რაც სიყვარულით არ კეთდება, საქმედაც არ ითვლება.
- სხვა ვერაფერს მომატყუებდა, რომ ჩემი თავი არ მატყუებდეს.
- ადამიანებს მოწონს რომ მის ღირსებებს აღიარებენ.
- მხოლოდ ცხოვრება თუ გახედნის ადამიანს.
- მხოლოდ ცოდნის იარაღით შეიძლება საქართველოს გადარჩენა მესამე ათასწლეულში.
- თუ ფეხბურთში მოტყუებაა მოგების საწინდარი, პოლიტიკაში პირიქით.
- სამართლიანობის ნიმუშად მათემატიკა გამოდგება, ყველა განტოლების ამოხსნა ნულთან გატოლებით იწყება.
- <u>შეკითხვა:</u> რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი? –გარდაცვალებამდე სირცხვილით სიწითლის უნარის შენარჩუნებამდე, ხოლო გარდაცვალების შემდეგ, სანამ მისი ნაკეთები საქმე.

- ორი სიცოცხლე აქვს ადამიანს: პირველი დაბადებიდან ადამიანური სისუსტეებით დატვირთული, ხოლო მეორე ადამიანური სიკეთეებით დატვირთული, გარდაცვალების შემდეგ რომ ინახება.

- ადამიანთა ცხოვრება ფიზიკურ და სულიერ ნაწილებად იყოფა, პირველი დაბადებითა და გარდაცვალებით შემოიფარგლება, ხოლო მეორე დაბადებიდან იწყება და შენს ხელშია მისი ხანგრძლიობა.

- მათემატიკა უდიდესი მეცნიერებაა, ხოლო ფიზიკა მეცნიერებათა მეცნიერება.

- მთავარი ის კი არ არის რას აღმოაჩენ, არამედ ის რომ აღმოჩენისათვის საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდე.

- რაც მეტია ნათესი, მით უფრო მეტია სარეველა.

- სიბერე – ახალგაზრდობაში ნაკეთები სიკეთის ნაყოფით ტკბობაა.

- შეუძლებელია ცუდის გაკეთილშობილება, ადვილია კარგის გაფუჭება.

- ადამიანმა თუ მოინდომა არა მხოლოდ ზღვას, ოკიანესაც კოვზით ჩაყლაპავს.

- ადამიანის ცხოვრება მიამიტობასა და სიბრძნეს შორის არის მოქცეული.

- როდის ვიყავი მიამიტი? – არ ვიცი. შევძლებ კი სიბრძნის ტვირთის აწევას? – განგების გადასაწყვეტია.

- იქნებ ის არის სიზმარი რასაც ჩვენ ცხადად მივიჩნევთ?

- შემოქმედებაა მოაზროვნის შთამომავლობა.

- “როცა მეძინა, ვფიქრობდი რომ მეფე ვიყავი, გავიღვიძე და .... იქ დამთავრდა ჩემი იგავი” (უილიამ შექსპირი; 87-ე სონეტი. თარგ. ირმა ქურასბედიანის).

- ადამიანი რომ იბადება უღელი და ჯვარი თან მოყვება, უღელი მიწიერი ხოლო ჯვარი სულიერი ტვირთის საზიდად.